საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1188-03
30/07/2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026-2027 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საფეხურზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის" 39-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2026-2027 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე და ქართულ ენაში მომზადების საგანამანთლებლო პროგრამაზე, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, ჩარიცხვის მსურველ აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 1 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით, 10:00-18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა, ქვემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N32, A კორპუსი, ოთახი A305;
ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - მის.: ილია ჭავჭავაძის გამზირი 45, H კორპუსი, ოთახი H105 (შესასვლელი ეზოდან).
გ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - მის.: ილია ჭავჭავაძის გამზირი 45, E კორპუსი, ოთახი E207.

2. 2026-2027 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე და ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;
გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ვაჟებისთვის);
დ) 1 ფოტოსურათი ზომით 3/4 და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD).
ე) სოციალურად დაუცველის სტატუსის შემთხვევაში ცნობა გაცემული შესაბამისი ორგანოდან.
3. 18 წლამდე ასაკის პირს თან უნდა ახლდეს კანონიერი წარმომადგენელი და თან იქონიოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მშობლის უფლების მქონე პირის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და აბიტურიენტის დაბადების მოწმობა, ხოლო მეურვის მიერ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები).
4. საჭიროების შემთხვევაში, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ეთხოვოს ინგლისური ენის დონის დასადგენად ტესტის ჩატარების უზრუნველყოფა;

5. ფაკულტეტების დეკანებს დაევალოთ უზრუნველყონ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება სტუდენტებისათვის;
6. 2026-2027 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციაგავლილ პირებთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2026 წლის 11 სექტემბერი;
7. საჭიროების შემთხვევაში, ბრძანებით განსაზღვრული ვადების მიმდინარეობისას, შესაძლოა არასამუშაო დღეები კონკრეტული თანამშრომლებისთვის გამოცხადდეს სამუშაო დღედ.
8. ფაკულტეტებს/სკოლას დაევალოთ, არაუგვიანეს 2026 წლის 14 სექტემბრისა უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინონ იმ აბიტურიენტთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება;
9. სარეგისტრაციო პორტალის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს;
10. ამ ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ ფაკულტეტის/სკოლის დეკანებს.
11. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.
12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;
13. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს,მატერიალური რესურსების სამსახურს, ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • ბესიკი ბაბუაშვილი